სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

07 ოქტომბერი, 2024 წელი

ბრძანება № 01-02/178

ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,საბიბლიოთეკო საქმე" (მე-4 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **პროფესიულ სტუდენტთა შუალედური შეფასების კომისიის ჯგუფის შექმნის, შეფასების ადგილის და დროის განსაზღვრის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22–ე მუხლის 1-ლი პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის №01-02/11 ბრძანების, ,,ბსუ-ს დამხმარე საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეულის ,,პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრი"-ს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 5 ოქტომბრის N02 გადაწყვეტილების, ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე 2023 წლის საშემოდგომო მიღების შედეგად პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2023 წლის 26 ოქტომბრის N01-08/935 ბრძანების, ,,ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "მებაღეობა" (მე-4 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) და "საბიბლიოთეკო საქმე" (მე-4 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) შუალედური შეფასების ადმინისტრირების ჯგუფების შექმნის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2024 წლის 06 ოქტომბრის N01-02/155 ბრძანების, პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის დირექტორის 2024 წლის 03 ოქტომბრის №1263452 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის **,,საბიბლიოთეკო საქმე"** (მე-4 დონე, 2023 წლის საშემოდგომო მიღება) **პროფესიულ სტუდენტთა** შეფასების მიზნით:

1.1. შეიქმნას შუალედური შეფასების კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ა) **ნათია ბურჭულაძე** - ბსუ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „საბიბლიოთეკო საქმე" პროგრამის ხელმძღვანელი, პროგრამის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი;

ბ) **ეკა ნაროზაშვილი**- დამსაქმებელი - ქ. ბათუმის აკაკი წერეთელის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, დამუშავება - დაკომპლექტების განყოფილების წამყვანი სპეციალისტი;

გ) **დალი რამიშვილი** - დამსაქმებელი - ქ. ბათუმის აკაკი წერეთელის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკა, დაკომპლექტების მთავარი ბიბლიოთეკარი;

დ) **ჟუჟუნა მამუჭაძე** - დამსაქმებელი - ქ. ბათუმის აკაკი წერეთელის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკის ბავშვთა განყოფილების ბიბლიოთეკარი;

1.2. **განისაზღვროს შეფასების ადგილი და დრო - 2024 წლის 11 ოქტომბერს 11:00 საათზე**, ქ. ბათუმში, ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკა (რუსთაველის/ნინოშვილის 32/35.).

2. შუადედური შეფასების კომისიამ იხელმძღვანელოს ,,ბსუ-ს პროფესიული სტუდენტის შუალედური შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" **ბსუ-ს რექტორის 2022 წლის 08 ნოემბრის N01-08/986 ბრძანებით.**

3. დაევალოს ბსუ-ს პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრის სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერს (მამუკა გოგელიას) უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტების ინფორმირება შუალედური შეფასების ადგილისა და თარიღის შესახებ.

4. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსება (პროფესიული პროგრამების ველში).

5. წინამდებარე ბრძანება აღსასრულებლად და სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს სტრუქტურულ ერთეულებს (პროფესიული პროგრამების მართვისა და უწყვეტი განათლების ცენტრს, იურიდიულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტს, ბსუ-ს ილია ჭავჭავაძის ბიბლიოთეკას, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, საფინანსო-ეკონომიკური დეპარტამენტი) და შუალედური შეფასების კომისიის წევრებს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30), კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

რექტორის მოვალეობის შემსრულებელი,
პროფესორი **მერაბ ხალვაში**